



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „წიქარა“ - კიკეთის „იუნკერები“		
გუნდი	კიკეთის „იუნკერები“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	20/10/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი ჭალა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მწვრთნელი	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	გიორგი მისრიაშვილი		
მომჩივანი	მატჩის მსაჯი - საბა მახარაძე	საჩივარი	<input checked="" type="checkbox"/> ალიარებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, დანართი #2 : სანქციები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის. რეკომენდირებული დისკვალიფიკაციის ვადები ძირითადი არამართებული ქცევისათვის - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.	<input checked="" type="checkbox"/> წითელი ბარათი    საითინგი    სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	



განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	25/10/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	აკაკი კერესელიძე, ირალი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	(დისტანციური-სატელეფონო ჩართვა) კი არა	სხვა დამსწრეები : კი არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	არა	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი მატჩის კიდის მსაჯის, ირაკლი ხიდემელის საითინგი		

**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი
2. მატჩის კიდის მსაჯის, ირაკლი ხიდემელის საითინგი

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

#### დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

კიკეთის „იუნკერები“-ს მწვრთნელმა, გიორგი მისრიაშვილმა, სატელეფონო გამოკითხვისას აღიარა დისციპლინარული დარღვევა, დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას წითელი ბარათის გამოყენების შესახებ, თუმცა არ დაეთანხმა წითელი ბარათის ოქმში დაფიქსირებული რეპლიკების, როგორც მუქარის შემცველი შინაარსით განმარტებას. ბოდიში მოიხადა სადისციპლინო კომისიის წინაშე და ყოველივე ახსნა მისი გაღიზიანებით მსაჯის მიერ თამაშის დროს მიღებული (მისი აზრით არასწორი) გადაწყვეტილებებზე.

#### ფაქტობრივი მოცემულობა

1. 20/10/2022 გაიმართა ჭაბუკთ „ბ“ ლიგის IV ტურის მატჩი თბ „წიქარა“-სა და კიკეთის „იუნკერებს“ შორის.
2. მატჩის მსაჯის საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმის მიხედვით - კიკეთის „იუნკერები“-ს მწვრთნელი, გიორგი მისრიაშვილი, პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ შემოვიდა მოედანზე და დაიწყო აგრესიული საუბარი ერთ-ერთი წესის შესახებ, მასთან(საბა მახარაძე) და კიდის მსაჯთან(ირაკლი ხიდემელი). გიორგი მისრიაშვილი (იუნკერების მწვრთნელი) საუბრობდა ხმამაღლა და აგრესიულად, მსაჯმა (საბა მახარაძე) რამოდენიმეჯერ მოუწოდა მას შეეწყვიტა აგრესიული ტონით ლაპარაკი, თუმცა გიორგი მისრიაშვილი აგრძელებდა აგრესიული ტონით საუბარს, რის გამოც მსაჯმა წითელი ბარათი უცვენა. წითელი ბარათის ჩვენების შემდეგ გიორგი მისრიაშვილის მხრიდან ადგილი ჰქონდა რეპლიკებს „მაგ ბარათს კი იცით სადაც (არ დაასრულა)“ და „წამოდი



გარეთ გავიდეთ და დაგელაპარაკებით“. მატჩის მსაჯის საბა მახარამის თქმით, ამ რეპლიკების შემდეგ გიორგი მისრიაშვილმა დატოვა მოედანი და ინციდენტს გართულება არ მოჰყოლია.

- მატჩის კიდის მსაჯის ირაკლი ხიდეშელის საითინგის მიხედვით - თამაშის პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ „იუნკერები“-ს მწვრთნელი შემოვიდა მოედანზე და დაიწყო აგრესიული ტონით საუბარა მასთან და მთავარ მსაჯთან. არაერთგზის სიმშვიდისკენ მოწოდების და წესის განმარტების შემდეგ „იუნკერები“-ს მწვრთნელი მაინც განაგრძობდა აგრესიული ტონით საუბარს, რის გამოც დაიმსახურა წითელი ბარათი. წითელ ბარათს მისი მხრიდან მოჰყვა რეპლიკები, შემდეგ დატოვა მოედანი და სხვა გართულება ინციდენტს არ მოჰყოლია.

სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობების და დამრღვევი პიროვნების განცხადების მიხედვით, მსჯელობის შემდეგ, კიკეთის „იუნკერები“-ს მწვრთნელის გიორგი მისრიაშვილის ქცევა ზემოაღნიშნული მატჩის დროს, შეაფასა როგორც მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე აპელირების სერიოზული ფაქტი და მიიღო გადაწყვეტილება :

### სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	3(სამი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	25/10/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	18/11/2022(სრკ-ს მოქმედი განრიგის მიხედვით)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ პროვნებას ეკრძალება ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში, რაგბის თამაშის დროს ნებისმიერ დონეზე.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	25/10/2022
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.